პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585/
1975/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებანი

№ 8 (415)

1975 წლის აგვისტო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 8 (415) აგვისტო 1975 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

161. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. კ. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

162. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნარკომანიით დაავადებულთა იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ.

163. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქრონიკული ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ.

164. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქრონიკული ალკოჰოლიკებისა და ნარკომანიით დაავადებულთა სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმის დებულების დამტკიცების შესახებ.

165. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის საქალაქო სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

### განყოფილება მეორე

166. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გ. ვ. ხარაიძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ.

167. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ვ. კახიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

168. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ს. ჩოჩიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

169. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ვ. ჯიოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

170. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-მაიორ ა. გ. ვიქტოროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

171. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-ლეიტენანტ ა. გ. შელეპინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

172. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ნ. გოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საინფორმაციო ცნობები

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ. დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 161 ამხ. შ. კ. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. შალვა კირილეს ძე მახარაძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 6 აგვისტო.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 162 ნარკომანიით დაავადებულთა იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ ნარკომანიით დაავადებულნი ვალდებული არიან იმკურნალონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში.

ნარკომანიით დაავადებულნი, რომლებიც თავს არიდებენ ასეთ მკურნალობას, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით გაიგზავნებიან სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში იძულებითი მკურნალობისათვის ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე.

2. ამ ბრძანებულების პირველ მუხლში აღნიშნულ პირთა პროფილაქტორიუმში გაგზავნის საკითხს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების ან სახელმწიფო ორგანოების შუამდგომლობით, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, 10 დღის ვადაში განიხილავს რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლო ღია სასამართლო სხდომაზე: ამასთან სხდომაზე გამოძახებულ უნდა იქნეს ის პირი, რომლის მიმართაც აღძრულია შუამდგომლობა, ხოლო საჭირო შემთხვევაში სასამართლო სხდომას უნდა ესწრებოდნენ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, კოლექტივების ან ორგანოების წარმომადგენლები, რომელთაც აღძრეს შუამდგომლობა.

3. სასამართლოში განსახილველი მასალის მომზადება და გაგზავნა წარმოებს შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ.

თუ პირი, რომლის მიმართ აღძრულია იძულებითი მკურნალობის და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შუამდგომლობა, თავს აარიდებს სამედიცინო

გამოკვლევას ან სასამართლოში გამოცხადებას, იგი უნდა მოიყვანონ შინაგან საქმეთა ორგანოებმა.

სასამართლოს დადგენილებას, არა უგვიანეს 10 დღისა, აღასრულებენ შინაგან საქმეთა ორგანოები.

4. თუ სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში მოთავსებული პირი თავს არიდებს იძულებით მკურნალობას, მას პროფილაქტორიუმში ყოფნის ვადა შეიძლება გაუგრძელდეს იმ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით, რომლის ტერიტორიაზედაც მდებარეობს სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმი. ასეთ გადაწყვეტილებას სასამართლო მიიღებს სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმის ადმინისტრაციის წარდგინების საფუძველზე, რომელიც ემყარება სამედიცინო დასკვნას; ამასთან ასეთი პირის პროფილაქტორიუმში ყოფნის ვადა საერთო ჯამში არ შეიძლება აღემატებოდეს ორ წელს.

5. იძულებითი მკურნალობისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის არანაკლებ ექვსი თვის გასვლის შემდეგ, მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის ზემოქმედების წარმატებით მიმდინარეობის შემთხვევაში, პროფილაქტორიუმში მოთავსებულ პირს შეიძლება შეუმცირდეს იქ ყოფნის ვადა, მაგრამ არაუმეტეს ნახევრისა, იმ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს პროფილაქტორიუმი. ასეთ გადაწყვეტილებას სასამართლო მიიღებს სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმის ადმინისტრაციის წარდგინების საფუძველზე, რომელიც ემყარება სამედიცინო დასკვნას. როგორც წესი, დაუშვებელია ვადის შემცირება იმ პირთა მიმართ, რომლებიც განმეორებით არიან გაგზავნილი სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში.

სასამართლოს დადგენილებით პროფილაქტორიუმში მყოფი პირი შეიძლება ვადამდე გათავისუფლებულ იქნეს თუ დაავადდება ისეთი მძიმე დაავადებით, რომელიც ხელს უშლის პროფილაქტორიუმში მის შემდგომ ყოფნას.

6. სასამართლოს დადგენილება ამ ბრძანებულების მე-2, მე-4 და მე-5 მუხლებში აღნიშნული საკითხების თაობაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

7. სასამართლოს დადგენილება პირის სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში გაგზავნის შესახებ წარმოადგენს სამუშაოდან მისი განთავისუფლების საფუძველს გასასვლელი დახმარების მიუცემლად.

სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში ყოფნის დრო არ წყვეტს შრომის სტაჟს და ჩაითვლება საერთო შრომის სტაჟში; შვებულება ასეთ პირებს ამ პერიოდისათვის არ მიეცემათ.

პროფილაქტორიუმში მოთავსებულ პირთა შრომა ანაზღაურდება საერთო საფუძველზე. ხელფასიდან ან პენსიიდან უკავებენ თანხებს დადგენილი წესით სამკურნალო პროფილაქტორიუმში შენახვის ხარჯების დასაფარავად, აგრეთვე ახდენენ სხვა დაქვითვებს საერთო საფუძველზე; დარჩენილი თანხა გადაერიცხება ოჯახს, ხოლო თუ ოჯახი არა აქვთ, ჩაირიცხება მათ პირად ანგარიშზე

სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში მყოფ პირებს უნარჩუნდებათ საცხოვრებელი ფართობის უფლება მათი წინანდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმიდან დაბრუნებულ პირთა შრომითი მოწყობა, როგორც წესი, უნდა მოხდეს მათ წინანდელ სამუშაოზე და ეკისრება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს.

8. სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმიდან ან ამ დაწესებულებაში წაყვანის დროს გზიდან გაქცევა ისჯება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

9. ის პირი, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში ყოფნის ან მის მიმართ სასამართლოს მიერ იძულებითი მკურნალობის შეფარდების თაობაზე დადგენილების გამოტანიდან პროფილაქტორიუმში მისვლამდე პერიოდში ჩადენილი დანაშაულობისათვის, სასჯელის მოხდის შემდეგ გაიგზავნება პროფილაქტორიუმში იძულებითი მკურნალობის მოუხდელი ვადით, თუ კი სამედიცინო დასკვნით იგი საჭიროებს ასეთ მკურნალობას.

10. პროფილაქტორიუმში არ გაიგზავნებიან:

ა) ქრონიკული სულიერი სენით დაავადებულნი, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, ორსული ქალები და მეძუძური დედები, აგრეთვე დაავადებულნი ისეთი მძიმე სენით, რომელიც ხელს უშლის მათს პროფილაქტორიუმში მოთავსებას, — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად;

ბ) მამაკაცები 60 წლისა და ქალები 55 წლის ასაკს ზევით, აგრეთვე პირები, რომლებსაც 18 წელი არ შესრულებიათ. გამონაკლის შემთხვევებში პროფილაქტორიუმში შეიძლება გაიგზავნონ ნარკომანიით დაავადებული არასრულწლოვანები, რომლებსაც შეუსრულდათ 16 წელი.

11. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულება „ნარკომანებისა და ქრონიკული ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1965 წ., № 30, მუხ. 628; 1969 წ., № 6, მუხ. 122; 1972 წ., № 6, მუხ. 97; 1973 წ., № 6, მუხ. 99; 1974 წ., № 9, მუხ. 171).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 28 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 163 ქრონიკული ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ ქრონიკული ალკოჰოლიკები ვალდებულნი არიან გაიარონ სპეციალური მკურნალობის სრული კურსი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალიზებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში.

ქრონიკული ალკოჰოლიკები, რომლებიც დისციპლინარული, ადმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მიუხედავად თავს არიდებენ მკურნალობას ან მკურნალობის შემდეგ განაგრძობენ ლოთობას, არღვევენ შრომის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს ან სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, გაიგზავნებიან სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნისათვის ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე.

2. ამ ბრძანებულების პირველ მუხლში აღნიშნულ პირთა პროფილაქტორიუმში გაგზავნის საკითხს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების ან სახელმწიფო ორგანოების შუამდგომლობით, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, 10 დღის ვადაში განიხილავს რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლო ღია სასამართლო სხდომაზე; ამასთან სხდომაზე გამოძახებულ უნდა იქნეს ის პირი, რომლის მიმართაც აღძრულია შუამდგომლობა, ხოლო საჭირო შემთხვევაში სასამართლო სხდომას უნდა ესწრებოდნენ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, კოლექტივების ან ორგანოების წარმომადგენლები, რომელთაც აღძრეს შუამდგომლობა.

3. სასამართლოში განსახილველი მასალის მომზადება და გაგზავნა წარმოებს შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ.

თუ პირი, რომლის მიმართ აღძრულია იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შუამდგომლობა, თავს აარიდებს სამედიცინო გამოკვლევას ან სასამართლოში გამოცხადებას, იგი უნდა მოიყვანონ შინაგან საქმეთა ორგანოებმა.

სასამართლოს დადგენილებას, არაუგვიანეს 10 დღისა, აღასრულებენ შინაგან საქმეთა ორგანოები.

4. თუ სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში მოთავსებული პირი თავს აარიდებს იძულებით მკურნალობას, მას პროფილაქტორიუმში ყოფნის ვადა შეიძლება გაუგრძელდეს იმ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმი. ასეთ გადაწყვეტილებას სასამართლო მიღებს სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმის ადმინისტრაციის წარდგინების საფუძველზე, რომელიც ემყარება სამედიცინო დასკვნას; ამასთან, ასეთი პირის პროფილაქტორიუმში ყოფნის ვადა საერთო ჯამში არ შეიძლება აღემატებოდეს ორ წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. იძულებითი მკურნალობისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის არანაკლებ ექვსი თვის გასვლის შემდეგ, მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის ზემოქმედების წარმატებით მიმდინარეობის შემთხვევაში, პროფილაქტორიუმში მოთავსებულ პირს შეიძლება შეუმცირდეს იქ ყოფნის ვადა, მაგრამ არაუმეტეს ნახევრისა, იმ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს პროფილაქტორიუმი. ასეთ გადაწყვეტილებას სასამართლო მიიღებს სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმის ადმინისტრაციის წარდგინების საფუძველზე, რომელიც ემყარება სამედიცინო დასკვნას. როგორც წესი, დაუშვებელია ვადის შემცირება იმ პირთა მიმართ, რომლებიც განმეორებით არიან გაგზავნილი სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში.

სასამართლოს დადგენილებით პროფილაქტორიუმში მყოფი პირი შეიძლება ვადამდე განთავისუფლებულ იქნეს თუ დაავადდება ისეთი მძიმე დაავადებით, რომელიც ხელს შეუშლის პროფილაქტორიუმში მის შემდგომ ყოფნას.

6. სასამართლოს დადგენილება ამ ბრძანებულების მე-2, მე-4 და მე-5 მუხლებში აღნიშნული საკითხების თაობაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

7. სასამართლოს დადგენილება პირის სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში გაგზავნის შესახებ წარმოადგენს სამუშაოდან მისი განთავისუფლების საფუძველს გასასვლელი დახმარების მიუცემლად.

სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში ყოფნის დრო არ წყვეტს შრომის სტაჟს და ჩაითვლება საერთო შრომის სტაჟში; შეღავათები ასეთ პირებს ამ პერიოდისათვის არ მიეცემათ.

პროფილაქტორიუმში მოთავსებულ პირთა შრომა ანაზღაურდება საერთო საფუძველზე. ხელფასიდან ან პენსიიდან უქავებენ თანხებს დადგენილი წესით სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში შენახვის ხარჯების დასაფარავად, აგრეთვე ახდენენ სხვა დაქვითვებს საერთო საფუძველზე; დარჩენილი თანხა გადაერიცხება ოჯახს, ხოლო თუ ოჯახი არა აქვთ, ჩაირიცხება მათ პირად ანგარიშზე.

სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში მყოფ პირებს უნარჩუნდებათ საცხოვრებელი ფართობის უფლება მათი წინანდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმიდან დაბრუნებულ პირთა შრომითი მოწყობა, როგორც წესი, უნდა მოხდეს მათ წინანდელ სამუშაოზე და ეკისრება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს.

8. სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმიდან ან ამ დაწესებულებაში წაყვანის დროს გზიდან გაქცევა ისჯება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

9. ის პირი, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში ყოფნის ან მის მიმართ სასამართლოს მიერ იძულებითი მკურნალობის შეფარდების თაობაზე დადგენილების გამოტანიდან პროფილაქტორიუმში მისვლამდე პერიოდში ჩადენილი დანაშაულისათვის

სისხლის მოხდის შემდეგ გაიგზავნება პროფილაქტორიუმში იძულებითი მკურნალობის მოუხდელი ვადით, თუ კი სამედიცინო დასკვნით იგი საჭიროებს ასეთ მკურნალობას.

10. პროფილაქტორიუმში არ გაიგზავნებიან:

ა) ქრონიკული სულიერი სენით დაავადებულნი, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, ორსული ქალები და მეძუძური დედები, აგრეთვე დაავადებულნი ისეთი მძიმე სენით, რომელიც ხელს უშლის მათს პროფილაქტორიუმში ყოფნას, — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად;

ბ) მამაკაცები 60 წლისა და ქალები 55 წლის ასაკს ზევით, აგრეთვე არასრულწლოვანები, რომლებსაც 18 წელი არ შესრულებიათ.

11. „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულების მე-17 მუხლი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ., № 9, მუხ. 87; 1973 წ., № 6, მუხ. 100) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17. ქრონიკული ალკოჰოლიკები, რომლებიც დისციპლინარული, ადმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მიუხედავად თავს არიდებენ მკურნალობას ან მკურნალობის შემდეგ განაგრძობენ ლოთობას, არღვევენ შრომის დისციპლინას, საზოგადოებრივ წესრიგს ან სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, გაიგზავნებიან სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმში იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნისათვის ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 28 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 164 ქრონიკული ალკოჰოლიკებისა და ნარკომანიით დაავადებულთა სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს ქრონიკული ალკოჰოლიკებისა და ნარკომანიით დაავადებულთა სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმის დებულება.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც გამომდინარეობენ ქრონიკული ალკოჰოლიკებისა და ნარკომანიით დაავადებულთა სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმის დებულებიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 28 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 165 თბილისის საქალაქო სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

თბილისის საქალაქო სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

1. „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ" 1960 წლის 25 ივნისის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1960 წ. № 6, მუხ. 62; 1972 წ., № 11, მუხ. 223):

1. კანონის 22-ე მუხლი და მე-3 თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 22. უფლებამოსილების ვადაზე ადრე გასული მოსამართლის ნაცვლად მოსამართლის არჩევის წესი**

უფლებამოსილების ვადაზე ადრე სახალხო მოსამართლის გასვლის შემთხვევაში სახალხო მოსამართლის არჩევნებს აწყობენ შესაბამისად: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არაუგვიანეს ერთი თვისა მოსამართლის გასვლის დღიდან.

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების ვადაზე ადრე გასვლის შემთხვევაში ზემოაღნიშნული სასამართლოების ახალ თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებს და წევრებს ირჩევენ შესაბამისად: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭო, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო".

### თ ა ვ ი III

**თბილისის საქალაქო სასამართლო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო**

**მუხლი 30. თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს არჩევის წესი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 122-ე მუხლის შესაბამისად, 6 წლის ვადით, ირჩევენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს არჩევისას რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავენ შესაბამისად თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭო.

**მუხლი 31. თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს შემადგენლობა**

თბილისის საქალაქო სასამართლო შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან და მოქმედებს:

ა) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის,

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და

გ) სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო შედგება თავმჯდომარის, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან და მოქმედებს:

ა) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის,

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და

გ) სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობით.

**მუხლი 32. თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს უფლებამოსილება**

თბილისის საქალაქო სასამართლო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო:

1. პირველი ინსტანციით განიხილავენ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც კანონით მათ კომპეტენციას მიეკუთვნება.

2. ახორციელებენ ზედამხედველობას შესაბამისად ქალაქის რაიონებისა და ავტონომიური ოლქის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე:

ა) სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიებში ქალაქის რაიონების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არიან შესული, აგრეთვე სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე საჩივრებისა და პროტესტების განხილვის გზით;

ბ) სასამართლოს პრეზიდიუმში პროტესტების განხილვის გზით ქალაქის რაიონების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა, განჩინებებზე და სასამართლო კოლეგიების განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არიან შესული, აგრეთვე სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

3. სწავლობენ სასამართლო პრაქტიკას და ეხმარებიან სახალხო სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში. ამასთან ახდენენ ამ საქმიანობის კოორდინაციას შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მუხლი 33. თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიების უფლებამოსილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები პირველი ინსტანციით განიხილავენ სამოქალაქო სამართლის საქმეებს, რომლებიც კანონით ამ სასამართლოების კომპეტენციას მიეკუთვნება, ხოლო მეორე ინსტანციით — საჩივრებსა და პროტესტებს შესაბამისად ქალაქის რაიონებისა და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არიან შესული, აგრეთვე საჩივრებსა და პროტესტებს სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

### მუხლი 34. თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიების უფლებამოსილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები პირველი ინსტანციით განიხილავენ სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც კანონით ამ სასამართლოების კომპეტენციას მიეკუთვნება, ხოლო მეორე ინსტანციით — საჩივრებსა და პროტესტებს შესაბამისად ქალაქის რაიონებისა და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ განაჩენებზე და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არიან შესული, აგრეთვე საჩივრებსა და პროტესტებს სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

### მუხლი 35. თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმები

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრებისაგან, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი რაოდენობით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრებისაგან, ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი რაოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებენ შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო და ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები თბილისის საქალაქო სასამართლოს და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეთა წარდგინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე შესაბამისად ქალაქის და ოლქის პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

**მუხლი 36. თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმების უფლებამოსილება**

თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმები:

ა) განიხილავენ პროტესტებს შესაბამისად ქალაქის რაიონების და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების განაჩენებსა, გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არიან შესულები, სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო სასამართლოს და საოლქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიათა განჩინებებზე.

თუ საქმის განხილვაში მონაწილეობდა სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა, თბილისის საქალაქო სასამართლოს და ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე სხვა სასამართლოში საქმის გადაგზავნის საკითხის გადასაწყვეტად მას წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს;

ბ) განიხილავენ სასამართლო კოლეგიებისა და სასამართლო აპარატის მუშაობის საკითხებს და მასალებს სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შესახებ; ეხმარებიან სახალხო სასამართლოებს კანონმდებლობის სწორად გამოყენებაში, ამასთან ახდენენ ამ საქმიანობის კოორდინაციას შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებასთან.

**მუხლი 37. თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება**

თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე:

ა) თავმჯდომარეობს სასამართლოს სხდომებს ან სასამართლოს სხდომებზე თავმჯდომარეობის გასაწევად ნიშნავს შესაბამისად თავმჯდომარის მოადგილეს ან სასამართლოს წევრს;

ბ) შეაქვს პროტესტები შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოს და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმში ქალაქის რაიონის, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებზე, გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე, აგრეთვე საქალაქო სასამართლოს და ავტონომიური ოლქის სასამართლოების სასამართლო კოლეგიების განჩინებებზე;

გ) იწვევს და თავმჯდომარეობს სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

ე) ორგანიზაციას უწევს სასამართლო პრაქტიკის შესწავლას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ანაწილებს საქალაქო სასამართლოს წევრებს სასამართლო კოლეგიების მიხედვით.

**მუხლი 38. თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს ანგარიშვალდებულება**

თბილისის საქალაქო სასამართლო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო ანგარიშს აბარებს შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს.

2. კანონის პირველ, მე-8, 21-ე, 22[1]-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 56-ე და 62-ე მუხლებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

პირველ მუხლს სიტყვების „აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები"-ს შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლო";

მე-8 მუხლის მესამე ნაწილს სიტყვების „აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის" შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის";

21-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახალხო მოსამართლეებს ვადაზე ადრე ათავისუფლებს შესაბამისად: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსის წარდგენით.

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეების და წევრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების ვადაზე ადრე გათავისუფლება ხდება შესაბამისად: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების დადგენილებებით, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებით, რომლებიც შემდგომ შეტანილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დასამტკიცებლად";

$22^{1}$-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „უმაღლეს სასამართლოების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქალაქო სასამართლოს“ და ამავე მუხლის პუნქტს სიტყვების „უმაღლეს სასამართლოებთან“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოსა“;

52-ე მუხლის „ა“ პუნქტს სიტყვების „ავტონომიური რესპუბლიკების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ქალაქ თბილისის“ და სიტყვების „უმაღლესი სასამართლოების“ შემდეგ — სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოსა“; ამავე მუხლის „ბ“ პუნქტს სიტყვების „ავტონომიური რესპუბლიკების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ქალაქ თბილისის“, სიტყვების „უმაღლესი სასამართლოების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ქალაქ თბილისის“ და სიტყვების „სასამართლოების პრეზიდიუმებისა“ შემდეგ — სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმისა“;

53-ე და 54-ე მუხლების „ბ“ პუნქტებში სიტყვების „ავტონომიური რესპუბლიკებისა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ქალაქ თბილისისა“ და სიტყვების „უმაღლესი სასამართლოების“ შემდეგ — სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოსა“, ხოლო ამავე მუხლების „გ“ პუნქტებში სიტყვების „ავტონომიური რესპუბლიკებისა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ქალაქ თბილისისა“ და სიტყვების „უმაღლესი სასამართლოების“ შემდეგ — სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოსა“;

56-ე მუხლის „ა“ პუნქტს სიტყვების „ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის“;

62-ე მუხლის „ა“ პუნქტს სიტყვების „ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და წევრები“.

II. „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 36, მუხ. 563; 1970 წ. № 8, მუხ. 126):

მეოთხე თავის სათაური და 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„IV. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეების, მათი მოადგილეების და წევრების, აგრეთვე ამ სასამართლოების სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესი.

**მუხლი 27. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და წევრები, აგრეთვე ამ სასამართლოთა სახალხო მსაჯულები შეიძლება ვადამდე იქნენ გაწვეული შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოსა და თბილისის საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებით“.**

III. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში:

1. მე-13 მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო ზედამხედველობას ახორციელებენ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქ თბილისისა და ავტონომიური ოლქის სასამართლო ორგანოების საქმიანობაზე“.

2. 28-ე მუხლის მეხუთე და მეექვსე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში, თბილისის საქალაქო სასამართლოში და ავტონომიური ოლქის სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლოს წევრის ან სასამართლოს მთელი შემადგენლობის აცილების შემთხვევაში საქმეს განიხილავს იგივე სასამართლო, ოღონდ მოსამართლეთა სხვა შემადგენლობით.

თუ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში, თბილისის საქალაქო სასამართლოში და ავტონომიური ოლქის სასამართლოში აცილების მიღებისას ან იმ მიზეზების გამო, რაც ამ კოდექსის 22-ე მუხლით არის გათვალისწინებული შეუძლებელია შეიქმნას მოსამართლეთა ახალი შემადგენლობა, საქმე უნდა გადაეგზავნოს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს“.

3. 122-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს უფლება აქვთ ჩამოართვან შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქ თბილისის და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არსებულ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებს ყოველი სამოქალაქო საქმე და მიიღონ იგი თავის წარმოებაში როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოებმა“.

4. 129-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აღნიშნული საფუძვლების მიხედვით სხვა ავტონომიური რესპუბლიკის, საქალაქო სასამართლოს ან ავტონომიური ოლქის სასამართლოსათვის საქმის გადაცემის საკითხს წყვეტს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე.

აღნიშნული საფუძვლების მიხედვით საქმის ერთი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოდან მეორისათვის გადაცემის საკითხს ავტონომიური

რესპუბლიკის, ქალაქ თბილისის და ავტონომიური ოლქის ფარგლებში შესაბამისად წყვეტენ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეები ან მათი მოადგილეები და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე“.

5. 294-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქ თბილისისა და ავტონომიური ოლქის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების გადაწყვეტილებანი, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არიან შესული, შეიძლება გასაჩივრდეს ან გაპროტესტდეს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს და ავტონომიური ოლქის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიებში, ხოლო გადაწყვეტილებები, გამოტანილი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქ თბილისსა და ავტონომიურ ოლქში, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო და ავტონომიური ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც არ არიან კანონიერ ძალაში შესული — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიაში“.

6. 304-ე მუხლის მე-2 პუნქტს სიტყვების „რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოებში“.

7. 332-ე მუხლის მე-5 პუნქტს სიტყვების „ოლქის სასამართლოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს“ და ამავე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს, თბილისის ქალაქის პროკურორს, ავტონომიური ოლქის პროკურორს — რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და განჩინებაზე და შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს და ავტონომიური ოლქის სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაზე, თუ ისინი განიხილავენ საქმეს საკასაციო წესით“.

8. 335-ე მუხლში:

პირველ ნაწილს სიტყვების „უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი“;

მეორე ნაწილს სიტყვების „ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს“,

მესამე ნაწილს სიტყვების „ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს“, ხოლო სიტყვების „ავტონომიური რესპუბლიკების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ქალაქ თბილისის“;

მეოთხე ნაწილს სიტყვების „ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს“.

ბიბლიოთეკა

9. 341-ე მუხლის მესამე ნაწილს სიტყვების „ავტონომიური ოლქის სასამართლოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს“, ხოლო სიტყვების „ავტონომიური ოლქის პროკურორი“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ქალაქ თბილისის პროკურორი“;

10. 347-ე მუხლს სიტყვების „ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს“.

IV. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში:

1. მე-19 მუხლის სათაურს სიტყვების „უმაღლესი სასამართლოების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს“ და ამ მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო ზედამხედველობას ახორციელებენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქ თბილისის და ავტონომიური ოლქის სასამართლო ორგანოების სასამართლო საქმიანობისადმი“.

2. 25-ე მუხლის I პუნქტს სიტყვების „ოლქის სასამართლოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს“.

3. 32-ე მუხლის სათაურში და ტექსტში სიტყვების „უმაღლესი სასამართლოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს“, ხოლო ამავე მუხლის შენიშვნას სიტყვების „უმაღლესი სასამართლოების“ შემდეგ — სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს“.

4. 33-ე მუხლს სიტყვების „ავტონომიურ რესპუბლიკებსა“ ნაცვლად დაემატოს სიტყვები „ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქ თბილისისა“.

5. 37-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აღნიშნული საფუძვლებით საქმის გადაცემა დაიშვება მხოლოდ სამსჯავრო სხდომაზე მისი განხილვის დაწყებამდე. აღნიშნული საფუძვლებით ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისისა და ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში ერთი სახალხო სასამართლოდან მეორეში საქმის გადაცემის საკითხს გადაწყვეტს შესაბამისად ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ან მოადგილე“.

6. 382-ე მუხლის მესამე ნაწილს სიტყვების: „ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოს“ და ამ მუხლის მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს, ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, ასსრ პროკურორს, ქალაქ თბილისის პროკურორს, ავტონომიური ოლქის პროკურორს უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი რაიონის (საქალაქო) სახალხო სასამართლოს განაჩენსა და განჩინებაზე, აგრეთვე შესაბამისად, ასსრ უმა-

ლესი სასმართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს და ავტონომიური ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაზე, როდესაც ეს კოლეგია იხილავს საქმეს საკასაციო წესით“.

7. 385-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 385. სასამართლოები, რომლებიც იხილავენ პროტესტს ზედამხედველობის წესით**

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი, თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმი და ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმი იხილავენ პროტესტებს რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებზე და განჩინებებზე, სახალხო მოსამართლის დადგენილებებზე, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს და ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიების განჩინებებზე, რომლებიც გამოტანილია საკასაციო წესით.

თუ პირველი ინსტანციის სასამართლოში ან საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას მონაწილეობას ღებულობდა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ან ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა, შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე სხვა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, ან ავტონომიური ოლქის სასამართლოში საქმის გაგზავნის შესახებ საკითხის გადასაწყვეტად მას წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია განიხილავს პროტესტებს იმ რაიონების (ქალაქების) სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და განჩინებებზე, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქ თბილისის და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში არ შედიან, და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს და ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიების განაჩენებსა და განჩინებებზე, აგრეთვე პროტესტებს ყველა ზემოაღნიშნული სასამართლოების მოსამართლეების დადგენილებებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი იხილავს პროტესტებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენებსა და განჩინებებზე, ამავე სასამართლოს მოსამართლეთა დადგენილებებზე, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმების დადგენილებებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი განიხილავს პროტესტებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე“.

8. 388-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის, თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომაზე მონაწილეობს შესაბამისად ავტონომიური ოლქის პროკურორი, ქალაქ თბილისის პროკურორი, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში კი საქართველოს სსრ პროკურორის მიერ უფლებამოსილი პროკურორი. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომაზე მონაწილეობს რესპუბლიკის პროკურორი ან მისი მოადგილე, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხდომაზე — საქართველოს სსრ პროკურორი“.

9. 397-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „თუ ავტონომიური ოლქის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ქალაქ თბილისის“.

V. დებულებაში „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულებით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1960 წ. № 18, მუხ. 181; 1965 წ. № 28, მუხ. 578; 1967 წ. № 6, მუხ. 349; 1970 წ. № 10, მუხ. 154):

1. მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. სახალხო მოსამართლეების არჩევნებს აწყობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, თბილისსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, მათ გამგებლობაში მყოფ ტერიტორიაზე, თვალყურს ადევნებენ არჩევნების მსვლელობაში არჩევნების ამ დებულების შესრულებას, განიხილავენ საჩივრებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების არასწორ მოქმედებაზე და გამოაქვთ საბოლოო გადაწყვეტილებანი“.

2. მე-16 პუნქტის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თითოეული რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოსათვის მოსამართლეთა რაოდენობას აწესებენ შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების წარდგინებით".

3. მე-17 პუნქტის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სიებს, ასარჩევ სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის აღნიშვნით თითოეული რაიონის, ქალაქის მიხედვით, აქვეყნებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, თბილისსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, არაუგვიანეს 28 დღისა არჩევნებამდე"

4. 32-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„32. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უარი სახალხო მოსამართლეობის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ორი დღის ვადაში შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებში, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელთა გადაწყვეტილება საბოლოოა".

5. მე-60 პუნქტის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„60. სახალხო მოსამართლეობის თითოეული კანდიდატის მიხედვით ხმების დათვლის დამთავრებისას და სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ ოქმზე ხელის მოწერის შემდეგ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია გაუგზავნოს ხმის მიცემის ოქმის ერთი ცალი შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს".

6. 62-ე პუნქტს სიტყვების „აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი" შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. 65-ე პუნქტს სიტყვების „აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებს" შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს".

8. 66-ე პუნქტს სიტყვების „უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს" შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს".

9. 68-ე და 69-ე პუნქტებსა და 70-ე პუნქტის მეორე ნაწილს სიტყვების „უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები" შემდეგ დაემატოს სიტყვები „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი".

VI. დებულებაში „საქართველოს სსრ სამართველოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ", რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 იანვრის ბრძანებულებით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1966 წ., № 1, მუხ. 3):

1. დებულების მე-2 პუნქტს სიტყვების „ავტონომიური ოლქის სასამართლოსა" შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქალაქო სასამართლოს".

2. მე-3 პუნქტს, მე-4 პუნქტის პირველ და მეორე ნაწილს და მე-5 პუნქტს სიტყვების „უმაღლესი სასამართლოებისა" შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქალაქო სასამართლოსა".

3. მე-10 პუნქტის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაკავებული თანამდებობიდან მოსამართლის ვადამდე გაწვევის ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, საქალაქო სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმები ატყობინებენ შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებსა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებას".

4. მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. დისციპლინურ საქმეზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, საქალაქო სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმების დადგენილებათა პირი სამი დღის ვადაში ეგზავნება დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს და შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებს და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებას".

5. მე-14 პუნქტის პირველ და მეორე ნაწილს და მე-15 პუნქტის მეორე ნაწილს სიტყვების „ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა" შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქალაქო სასამართლოს".

VII. „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ 1971 წლის 9 დეკემბრის კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., № 12, მუხ. 212; 1973 წ., № 12, მუხ. 204):

45-ე მუხლის „თ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საქალაქო სასამართლოს არჩევა (ქ. თბილისის); რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის დამტკიცება".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 28 აგვისტო.

## განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 166 გ. ვ. ხარაიძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულის გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობის და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ჟურნალ „ლიტერატურული საქართველოს" მთავარი რედაქტორის მოადგილე გურამ ვლადიმერის ძე **ხარაიძე** დაჯილდოვდეს მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 28 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 167 ამხ. რ. ვ. კახიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობაში და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მშრომელთა დეპუტატების წყალტუბოს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. რევაზ ვლადიმერის ძე **კახიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 12 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 168 ამხ. ი. ს. ჩოჩიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით პერსონალური პენსიონერი ამხ. იონა სიმონის ძე ჩოჩია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 12 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 169 ამხ. ს. ვ. ჯიოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, პროფკავშირულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სამხრეთ-ოსეთის საოლქო აღმასკომთან არსებული ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის სამმართველოს უფროსი ამხ. სოლომონ ვასილის ძე ჯიოევი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 12 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 170 გენერალ-მაიორ ა. ვ. ვიქტოროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამსახურისათვის, დაბადების ორმო-

ცდაათ წელთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სასაზღვრო ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი ალექსანდრე გრიგოლის ძე ვიქტოროვი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 22 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 171 გენერალ-ლეიტენანტ ა. გ. შელეპინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის და მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში ნაყოფიერი მუშაობისათვის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი, სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-ლეიტენანტი არკადი გრიგოლის ძე შელეპინი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 22 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 172 ამხ. კ. ნ. გოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე **გოგლიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 26 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 28 აგვისტოს სხდომაზე მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა, ახალგაზრდობის საქმეთა, კულტურის, სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიების მიერ ჩატარებული შემოწმების მასალების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ნ. ვასაძის მოხსენება არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა თავიდან აცილების მიზნით აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მუშაობის მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, ადმინისტრაციულმა და განათლების ორგანოებმა, შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელ დადგენილებათა შესაბამისად სერიოზული მუშაობა გასწიეს რესპუბლიკაში არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობისა და უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და აქტივის მონაწილეობით, პერიოდულად სწავლობენ და იხილავენ აღნიშნულ საკითხს საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე. მეტი ყურადღება ექცევა ახალგაზრდათა თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების საქმეს.

გაუმჯობესდა არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევისა და უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვთა გამოვლენის საქმე.

ამასთან ერთად არასრულუწლოვანთა შორის სამართალდარღვევისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები.

დანაშაულთა საერთო რიცხვში კვლავ დიდია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წონა.

საგულისხმოა, რომ ამ ბავშვთა უმრავლესობას ან არ ჰყავს ერთ-ერთი მშობელი, ანდა იზრდებიან არაკეთილსაიმედო ოჯახებში (მშობლები არიან დებოშირები, ალკოჰოლიკები, ნარკომანები და სხვ.).

მიუხედავად ამისა, აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, მილიციის ბავშვთა ოთახები, საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები ხშირად არ მიმართავენ კანონის შესაბამისად დასჯის ყველა საშუალებას უღირსი მშობლების მიმართ.

მილიციის და სახლმართველობებთან არსებულ ბავშვთა ოთახებში არ არის შექმნილი პირობები არასრულწლოვანებთან მუშაობისათვის. ბევრი ოთახი შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული. მილიციის ბავშვთა ოთახის ზოგიერთ ინსპექტორსა და პედაგოგ-ორგანიზატორს არ აქვს მუშაობის სათანადო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილება და პრაქტიკა, ვერ იყენებს აღზრდის ყველა ფორმასა და საშუალებას; სრულიად უგულებელყოფილია სამართალდამრღვევი ბავშვის გადოებრივ აღმზრდელზე მიმაგრების პრაქტიკა.

ადგილი აქვს სამართალდამრღვევის აღრიცხვიდან მოხსნის არასწორ პრაქტიკას. არც თუ იშვიათად არასრულწლოვანი იხსნება აღრიცხვიდან მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გახდა სრულწლოვანი, ან მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ანდა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი; მისი შემდეგი ბედით კი არავინ ინტერესდება.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები სათანდო მზრუნველობას არ იჩენენ ბავშვთა თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებისათვის. საჭირო სიმაღლეზე არ დგას ფიზკულტურული და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა. სათანადო ყურადღება არ ექცევა კულტურის სახლების, კლუბების, სპორტული ბაზების, ბავშვთა ტექნიკური სადგურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას და მშენებლობას.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მხრივ არავითარი კონტროლი არ არის დაწესებული სახლმართველობებში ბავშვთა შორის მუშაობისათვის ორპროცენტიანი ანარიცხების დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე. ზოგიერთ საქალაქო საბჭოს აღმასკომში არც კი იციან ასეთი დანიშნულებისათვის თანხების არსებობის შესახებ.

პრაქტიკაში არ არის წარმოებებისა და დაწესებულებების წილობრივი მონაწილეობა სპორტული მოედნების, კლუბების, შრომითი ბანაკების და ახალგაზრდობის დასვენებისათვის სხვა ობიექტების მშენებლობაში.

რიგ წარმოება-დაწესებულებაში არ არის შექმნილი პირობები მოზარდების ნორმალური შრომის, სწავლისა და დასვენებისათვის; ხოლო შესაბამისი სამინისტროები, უწყებები და ადგილობრივი საბჭოები სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ ამ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიმართ.

არასრულწლოვანთა საქმეებზე სერიოზულ ნაკლოვანებებს უშვებენ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საქმეთა გამოძიებისა და განხილვის ხარისხს. გამომძიებლები და სახალხო მოსამართლეები ხშირად არღვევენ საპროცესო ნორმების მოთხოვნებს, საფუძვლიანად არ ირკვევენ დანაშაულის წარმომშობ მიზეზებსა და გამომწვევ პირობებს, არ ავლენენ წამქეზებლებს და იშვიათად აყენებენ საკითხს ოჯახის, სკოლის და იმ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამ თუ უმოქმედობამ განაპირობა არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენა.

სახალხო სასამრთლოები უგულებელყოფენ არასრულწლოვანის აღზრდის საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდ როლსა და შესაძლებლობას.

ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა არასრულწლოვანთათვის სამართლებრივ თემებზე ლექციების, საუბრებისა და კითხვა-პასუხის საღამოების ჩატარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკურატურის ადგილობრივი ორგანოები საჭირო ზედამხედველობას არ აწარმოებენ არასრულწლოვანთა შესახებ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შესრულების მდგომარეობაზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი და მათი ადგილობრივი ორგანოები არ ატარებენ ყველა ღონისძიებას გაკვეთილების გაცდენის წინააღმდეგ, მეორეწლიანობისა და აკადემიური ჩამორჩენილობის შემთხვევათა აღსაკვეთად; საჭირო მეთოდურ დახმარებას არ უწევენ მილიციის და სახლმართველობებთან არსებულ ბავშვთა ოთახებში მომუშავე პედაგოგ-ორგანიზატორებს.

რიგი სასოფლო, სადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომი ნაკლებ ყურადღებას აქცევს შრომა-აღმზრდელობით კოლონიებიდან დაბრუნებულ პირთა შრომით საქმიანობაში ჩაბმას. საბჭოების სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე იშვიათად იხილავენ არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის და უზედამხედველობის მდგომარეობის საკითხებს, საჭირო დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ უწევენ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, ადმინისტრაციულ, განათლების ორგანოებთან, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, საბჭოების ახალგაზრდობის საქმეთა, განათლების სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიების, დეპუტატებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით, — პარტიის XXIV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელ დადგენილებათა შესაბამისად დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ბავშვთა და მოზარდთა შორის პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მათი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმის უკეთ დაყენებისათვის, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევებისა და დანაშაულებრივი ქმედობის თავიდან ასაცილებლად;

ბავშვთა და მოზარდთა შორის აღმზრდელობით მუშაობაში უფრო ფართოდ ჩააბან საზოგადოებრიობა, ქუჩისა და სახლის კომიტეტები, საბჭოს დეპუტატები, ომისა და შრომის ვეტერანები, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი;

მიიღონ ზომები სკოლებიდან და სასწავლებლებიდან მოსწავლეთა განთესვის აღსაკვეთად და სახალხო მეურნეობის გეგმის შესაბამისად საშუალო სკოლადამთავრებულთა შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად. სისტემატურად შეამოწმონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ კანონის შესრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მდგომარეობა და განახორციელონ ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

უკეთ მოაწყონ ახალგაზრდათა თავისუფალი დროის გამოყენების საქმე. კულტსაგანმანათლებლო და ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში მეტად ჩააბან ახალგაზრდობა. სისტემატურად მოაწყონ მათთვის ლექცია-მოხსენებები, ლიტერატურული დისპუტები, სპორტული შეჯიბრებები, ლაშქრობები, თვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერებები, შეხვედრები ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ადამიანებთან და სხვ.;

შეამოწმონ მოზარდთა შესახებ შრომის კანონმდებლობის დაცვის საკითხები წარმოება-დაწესებულებებში;

მტკიცედ დაიცვან წესი მშენებარე მასივებში საბავშვო ოთახების, სათამაშო და სპორტული მოედნების მოწყობის შესახებ. ამასთან, ყოველნაირად შეუწყონ ხელი კოლმეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებების ინიციატივას სპორტული მოედნების, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობის საქმეში;

ქმედითი დახმარება გაუწიონ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს, შეუქმნან მათ მუშაობის ნორმალური პირობები და მათი საშუალებით კოორდინაცია გაუკეთონ საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანოების იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობისა და მათ მიერ დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად.

მეტი ყურადღება მიაქციონ ბავშვთა ოთახების სათანადო ბინებითა და ინვენტარით უზრუნველყოფას, საზოგადოებრივი აღმზრდელებისა და პედაგოგ-ორგანიზატორების მუშაობას. უახლოეს დროში, დადგენილი წესის დაცვით, გამოუყონ საზოგადოებრივი აღმზრდელები იმ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთ, რომელნიც ასეთს საჭიროებენ;

სათანადო წესრიგი დაამყარონ სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის საქმეში, არ დაუშვან მათი მიყიდვა არასრულწლოვანისათვის და, რაც მთავარია, მკაცრი ზომები მიიღონ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ითრევენ არასრულწლოვანებს ალკოჰოლური სასმელების ხმარებაში;

უზრუნველყონ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ არასრულწლოვანთა სასწავლებლებსა და წარმოებაში მოწყობა და მათთან სათანადო აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 28 თებერვლის დადგენილების შესრულება პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკაზე ბავშვთა ოთახებში გაგზავნის შესახებ.

განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს დაევალა გააუმჯობესონ სასწავლო და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლებში, ტექნიკუმებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ყოველმხრივ განამტკიცონ კავშირურთიერთობა სასწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლებლებსა და ოჯახს შორის, აამაღლონ პედაგოგების და აღმზრდელების პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა შორის უმეთვალყურეობისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სკოლისგარეშე მუშაობას, ბავშვებსა და მოზარდებში საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომითი ჩვევების გამომუშავებას.

რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს რეკომენდაცია მიეცა სისტემატურად გააშუქონ ახალგაზრდობას შორის სამართალდარღვევების თავიდან აცილებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, მეტი ყურადღება მიაქციონ აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებას, მორალის, ესთეტიკისა და ყოფაქცევის საპრობლემო საკითხებს.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტს რეკომენდაცია მიეცა კომკავშირულ ორგანოებთან ერთად, რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, დაბებსა და სოფლებში, რეგულარულად ჩაატაროს სპორტული შეჯიბრებები, ლაშქრობები; ახალგაზრდობას შორის აღმზრდელობითი და სპორტულ მუშაობაში მეტად ჩააბას ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი სპორტსმენები. პრაქტიკაში დანერგოს მათი შეფობა ბავშვთა ოთახებსა და ცალკეულ ძნელად აღსაზრდელ ბავშვებზე.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა წარმართონ ახალგაზრდობის მოთხოვნილებათა და ინტერესების გათვალისწინებით. სისტემატურად მოაწყონ მათთვის კინოფესტივალები, შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან, შრომისა და სამამულო ომის ვეტერანებთან, კულტურისა და მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებთან. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ ღონისძიებებში ახალგაზრდების მონაწილეობის მასიურობას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა:

მკვეთრად გააუმჯობესოს მილიციის ბავშვთა ოთახების მუშაობა, უზრუნველყოს მათი მჭიდრო კავშირი შესაბამის სკოლებთან, სასწავლებლებთან, წარმოება-დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, უზედამხედველო ბავშვთა აღზრდა-გამოსწორების საქმეში მეტად ჩააბას საზოგადოებრიობა, პედაგოგ-ორგანიზატორები, აქტივი. მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა იმ მშობლების მიმართ, რომლებიც უპასუხისმგებლობას იჩენენ თავიანთი შვილების აღზრდის საქმეში;

ბავშვთა ოთახების ინსპექტორებად არ დანიშნონ ისეთი პირები, რომელთაც არა აქვთ სათანადო განათლება და გამოცდილება, არ დატვირთონ ინსპექტორები სხვა დავალებებით. განათლების ორგანოებთან ერთად მიიღონ ზომები მათი პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

საქართველოს სსრ პროკურატურა, იუსტიციის სამინისტროს და უმაღლეს სასამართლოს რეკომენდაცია მიეცათ სათანადო კონტროლი დააწესონ დაქვემდებარებული ორგანოების მიერ არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხილვისათვის კანონით დადგენილი ნორმების დაცვაზე; მეტი ყურადღება დაუთმონ არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის წარმომშობი მიზეზების და ხელშემწყობი პირობების დადგენას, დანაშაულის ჩადენაში სრულწლოვან წამქეზებლებისა და ორგანიზატორების გამოვლენას და მათ მიმართ კანონის შესაბამისად ზომების მიღებას.

სასამართლოებმა სასჯელის განსაზღვრისას, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მხედველობაში მიიღონ მიზანშეწონილია თუ არა არასრულწლოვანი მსჯავრდებულის აღზრდა-გამოსწორებისათვის მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდება. პირობით მსჯავრისა და ისეთი სასჯელების შეფარდების დროს, რომლებიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენონ საზოგადოებრივი აღმზრდელის დანიშვნა, მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის არასრულწლოვანის აღსაზრდელად გადაცემა.

საქართველოს სსრ პროკურატურას დაევალა გააძლიეროს ზედამხედველობა არასრულწლოვანთა შესახებ არსებულ კანონმდებლობასა და დადგენილებების შესრულებაზე.

მშრომელთა დეპუტატების, საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ პერიოდულად შეამოწმონ ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმის, მოზარდთა დასვენების ორგანიზაციის და არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევის და დამნაშავეობის მდგომარეობა და ეს საკითხები გახადონ საბჭოების სესიების, აღმასრულებელი კომიტეტების სხდომების, მშრომელთა კოლექტივების, მოსახლეობის კრებებისა და სოფლის ყრილობების მსჯელობის საგნად. ამასთან საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოიყვანონ ის მშობლები, რომლებიც თავიანთი უღირსი ქცევით გზას აცდენენ არასრულწლოვანებს და ხელს უწყობენ მათ მორალურ დეგრადაციას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკურ კომისიას რეკომენდაცია მიეცა:

გააუმჯობესოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების საქმიანობის კოორდინაცია, განაზოგადოს და გაავრცელოს მათი მუშაობის დადებითი გამოცდილება;

იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილობრივი საბჭოების ბოლო არჩევნების შემდეგ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შემადგენლობა მნიშვნელოვნად განახლდა, მიმდინარე წლის ბოლომდე ჩაატაროს სემინარი არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების თავმჯდომარეების, მოადგილეებისა და მდივნებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია მიეცა განიხილოს:

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის და დასვენების უკეთ ორგანიზაციის მიზნით ბავშვთა ოთახებისა და სპორტული მოედნების მოსაწყობად დამატებითი თანხებისა და ინვენტარის გამოყოფის საკითხი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის განთავისუფლებული მდივნის შტატის გამოყოფის საკითხი იმ რაიონებისათვის, სადაც ასეთი საშტატო ერთეული არ გააჩნიათ;

საკითხი გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების რაოდენობის გაზრდის შესახებ.

პრეზიდიუმმა თხოვნით მიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების დახმარებით შეისწავლონ თავიანთ საარჩევნო ოლქებში რა მუშაობა ტარდება არასრულწლოვანთა შორის მართლწესრიგის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით, როგორ სრულდება კანონი საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ. ბავშვებიან, მშობლებთან, პედაგოგებთან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან, ადმინისტრაციულ ორგანოთა ხელმძღვანელობასთან ერთად გაარკვიონ მიზეზები, რამაც აიძულა არასრულწლოვანი წასულიყო სკოლიდან ან ჩაედინა დანაშაული.

სათანადო ორგანოებთან ერთად მიიღონ ზომები სკოლის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში ან წარმოებაში ჩასაბმელად, ძნელად აღსაზრდელ ბავშვებზე სათანადო ზედამხედველობის დასაწესებლად.

ჩატარებული მუშაობის შედეგები აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმდინარე წლის ბოლომდე.

საქართველოს სსრ პროკურატურას, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა, იუსტიციის და განათლების სამინისტროებს, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალა ამ დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1976 წლის აგვისტოს ბოლოს.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა იმავე სხდომაზე საკითხი საგარეჯოს რაიონის პატარძეულის, წყალტუბოს რაიონის მაღლაკის და ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის სასოფლო ყრილობების მოწოდებათა შესაბამისად ყველა შრომისუნარიანი მოქალაქის საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაბმის მდგომარეობის შესახებ ზუგდიდისა და თერჯოლის რაიონებში და აღნიშნა, რომ პატარძეულელთა, მაღლაკელთა და ახალსოფლელთა პატრიოტული ინიციატივის საპასუხოდ, ზუგდიდისა და თერჯოლის რაიონებში, ისე როგორც რესპუბლიკის ყველა რაიონში, სოფლის ყრილობების ჩატარების წინ დეპუტატები, საბჭოების მუდმივი კომისიები და აქტივი დიდ მუშაობას ეწევიან იმ პირთა გამოსავლენად, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას. სასოფლო ყრილობები ჩატარდა დევიზით: „არც ერთი უმუშევარი სოფლად", „ყველა შრომისუნარიანი — საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში!".

ამასთან სოფლის ყრილობებზე დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიცების, საბავშვო ბაგებისა და ბაღების გახსნის, ახალგაზრდობის შრომაში ჩაბმისა და დასვენების საქმის უკეთ მოწყობის მიზნით.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად აღნიშნულ რაიონებში მნიშვნელოვნად შემცირდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

ზუგდიდის რაიონში სოფლის ყრილობების გადაწყვეტილებების შესაბამისად დამატებით გაიხსნა 10 სეზონური საბავშვო ბაგა და 16 საბავშვო ბაღი.

ამავე რაიონში გაუმჯობესდა ახალგაზრდების შრომაში ჩაბმისა და მათი დასვენების ორგანიზაცია. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მსხვილ ორგანიზაციებში გაკეთდა მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, აშენდა სპორტული დარბაზები და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობისათვის შრომის კანონმდებლობის საკითხებზე ლექციების, მოხსენებების, კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოების ჩატარებას.

ზუგდიდის რაიონში სოფლის ყრილობების გადაწყვეტილებების განხორციელების საქმეს მუქთახორობისა და პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი პრესა და რადიო.

ამასთან ზუგდიდისა და თერჯოლის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს საგარეჯოს რაიონის პატარძეულის, წყალტუბოს რაიონის მაღლაკისა და ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოების მშრომელთა თაოსნობის გავრცელება-დანერგვის საქმეში გააჩნიათ ნაკლოვანებანი.

ცალკეული სასოფლო საბჭოების აღმასკომები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან სოფლის ყრილობებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეს.

გასულ წელთან შედარებით ზოგიერთ კოლმეურნეობაში გაიზარდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომელთაც გამომუშავებული არ აქვთ კაცდღეების სავალდებულო მინიმუმი.

თერჯოლის რაიონში არ გახსნილა არც ერთი საბავშვო ბაგა და ბაღი, ხოლო ზუგდიდის რაიონის დიდინეძის და ჯიხასკარის კოლმეურნეობებს არ გაუხსნიათ საბავშვო ბაღები.

თერჯოლის რაიონის თერჯოლის სადაბო, ალისუბნის, გოგნის, ეწრის, ბარდუბნის, ნახშირღელეს, კვახჭირის, ძევრისა და ჭოგნარის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დღემდე არ შეუმოწმებიათ სოფლის ყრილობებზე მიღებული დადგენილებების შესრულების მდგომარეობა და არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებანი მათ განსახორციელებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ზუგდიდისა და თერჯოლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

არსებითად გააუმჯობესონ მუშაობა შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და ყველა შრომისუნარიანი მოქალაქის საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში აქტიურად ჩასაბმელად, რათა წარმატებით შეასრულონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღებული სოციალისტური ვალდებულებები და ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XXV ყრილობას;

შეამოწმონ საგარეჯოს რაიონის პატარძეულის, წყალტუბოს რაიონის მაღლაკის და ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის მშრომელთა თაოსნობასთან დაკავშირებით სოფლის ყრილობებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობა და საჭირო დახმარება აღმოუჩინონ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში;

მიაღწიონ იმას, რომ ყველა დეპუტატი აქტიურ მონაწილეობას იღებდეს თითოეული მოქალაქის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩასაბმელად, რაზმავდეს მშრომელებს ამ საკითხთან დაკავშირებით ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ადგილობრივი პრესისა და რადიოს საშუალებით სათანადო პოპულარიზაცია გაუკეთონ დეპუტატთა მუშაობის დადებით გამოცდილებას მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლასა და ყველა შრომისუნარიანი მოქალაქის შრომაში ჩაბმის საქმეში;

შეუქმნან ბავშვიან ქალებს საჭირო პირობები საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში აქტიური მონაწილეობისათვის, უზრუნველყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სეზონური და მუდმივი საბავშვო ბაგებისა და ბაღების მოწყობა, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ქსელის გაფართოება და სხვა;

მიიღონ ზომები საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდების შრომითი მოწყობისათვის. მოზარდთა შრომაში ჩაბმასთან ერთად მეტი ყურადღება დაუთმონ მათთვის კანონით დაწესებული შეღავათების განხორციელებას და აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებების ჩატარებას;

განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, შრომის სწორი ორგანიზაციის და საკოლმეურნეო წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების სწორად გამოყენებისათვის;

ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაშალონ მოსახლეობაში შრომის კანონმდებლობის საკითხებზე და, განსაკუთრებით, იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად მუშაობა წარმართონ ისე, რომ სოციალისტური კანონებისა და მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ იქმნებოდეს საზოგადოებრივი გაკიცხვის აზრი;

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმონ საგარეჯოს რაიონის პატარძეულის, წყალტუბოს რაიონის მაღლაკის და ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის მშრომელთა თაოსნობის პროპაგანდის საქმეს. პერიოდულად გააშუქონ სოფლის ყრილობებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა

შესრულების მდგომარეობა, განაზოგადონ მოწინავე სასოფლო საბჭოების გამოცდილება.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ შეამოწმონ მოსახლეობის საერთო საერთო კრებების (ყრილობების) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების — ყველა შრომისუნარიანი მოქალაქის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმის მდგომარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 449 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 9 |
| „ გორიდან | | 4 |
| „ ზუგდიდიდან | | 9 |
| „ რუსთავიდან | | 4 |
| „ ქუთაისიდან | | 7 |
| „ ჭიათურიდან | | 13 |
| ადიგენის | რაიონიდან | 7 |
| ახმეტის | „ | 3 |
| ბოგდანოვკის | „ | 13 |
| ბორჯომის | „ | 4 |
| გარდაბნის | „ | 50 |
| გეგეჭკორის | „ | 20 |
| დმანისის | „ | 45 |
| დუშეთის | „ | 8 |
| ვანის | „ | 9 |
| ზესტაფონის | „ | 7 |
| ზუგდიდის | „ | 7 |
| თელავის | „ | 5 |
| თერჯოლის | „ | 3 |
| კასპის | „ | 7 |
| ლაგოდეხის | „ | 9 |
| მარნეულის | „ | 43 |
| მესტიის | „ | 19 |
| მცხეთის | „ | 17 |
| ონის | „ | 2 |
| ორჯონიკიძის | „ | 7 |
| სამტრედიის | „ | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| ქარელის | რაიონიდან . . . . . . . . | 16 |
| ყვარლის | „ . . . . . . . . | 23 |
| ჩხოროწყუს | „ . . . . . . . . | 9 |
| ცაგერის | „ . . . . . . . . | 6 |
| ცხაკაიას | „ . . . . . . . . | 4 |
| წალკის | „ . . . . . . . . | 9 |
| წითელწყაროს | „ . . . . . . . . | 6 |
| წულუკიძის | „ . . . . . . . . | 3 |
| წყალტუბოს | „ . . . . . . . . | 10 |
| ხაშურის | „ . . . . . . . . | 6 |
| ხობის | „ . . . . . . . . | 11 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | . . . . . . . . | 10 |

*
* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 28 აგვისტოს ბრძანებულებით მედლით „შრომის ვეტერანი" დააჯილდოვა 837 კაცი, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის პირველი მაისის | რაიონიდან . . . . | 43 |
| ქ. თბილისის ორჯონიკიძის | „ . . . . . | 93 |
| ქ. თბილისის კალინინის | „ . . . . . | 85 |
| ქ. თბილისის საქარხნო | „ . . . . . | 27 |
| ქ. გორიდან | . . . . . . . . . | 45 |
| ქ. რუსთავიდან | . . . . . . . . . | 17 |
| ქ. ქუთაისიდან | . . . . . . . . . | 101 |
| ქ. ჭიათურიდან | . . . . . . . . . | 95 |
| ამბროლაურის | რაიონიდან . . . . . | 16 |
| ბოგდანოვკის | „ . . . . . . . | 24 |
| ბორჯომის | „ . . . . . . . | 54 |
| თელავის | „ . . . . . . . | 23 |
| თეთრი წყაროს | „ . . . . . . . | 5 |
| ზუგდიდის | „ . . . . . . . | 10 |
| მახარაძის | „ . . . . . . . | 16 |
| მესტიის | „ . . . . . . . | 3 |
| ონის | „ . . . . . . . | 5 |
| სამტრედიის | „ . . . . . . . | 8 |
| სიღნაღის | „ . . . . . . . | 39 |
| ქარელის | „ . . . . . . . | 6 |
| ყაზბეგის | „ . . . . . . . | 12 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| წალკის | რაიონიდან . . . . . . | 12 |
| წითელწყაროს | „ . . . . . . | 4 |
| ხაშურის | „ . . . . . . | 94 |

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

### სამტრედიის რაიონში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულებით საჯავახოს სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ნოღა და მიეკუთვნა ტოლების სასოფლო საბჭოს.

### მცხეთის რაიონში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 5 აგვისტოს დადგენილებით ზაჰესის მუშათა დასახლების ჩრდილოეთით ახლად წარმოშობილი დასახლება მიეკუთვნა ზაჰესის მუშათა დასახლებას.